ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N11.

თარიღი: 15.09.2023 წ.

დადგენილება N31.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N3.

თარიღი: 07.02.2025 წ.

დადგენილება N49.

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ზოგად მეთოდოლოგიას და საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განსაზღვრისა და შეფასების განხორციელების წესებს;

1.2. წესის მიზანია, შემდგომი განვითარების მიზნით, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრული და გამჭვირვალე შეფასების პროცესი.

მუხლი 2. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

2.1. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ითვალისწინებს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების იდენტიფიცირებას, შესაბამისი მონაცემების შეგროვებასა და მათ გაანალიზებას;

2.2. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

მუხლი 3. შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები

3.1. პირდაპირი შეფასების დროს მოწმდება მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს შესრულებული დავალების მეშვეობით (ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, პრეზენტაცია, თემის დაცვა, პრაქტიკის შეფასება და ა.შ.);

3.2. არაპირდაპირი მეთოდის დროს ხდება სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლებთა გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები, დასაქმების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მზადდება კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილია პროგრამის სწავლის შედეგები სადაც სტუდენტები აღნიშნავენ მოსაზრებებს თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. შესაძლებელია ანალოგიური კითხვარი შეავსოს დამსაქმებელმაც.

მუხლი 4. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან

4.1. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, რისთვისაც დგება პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის რუკა;

4.2. შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის რუკას აქვს ცხრილის სახე, სადაც ჰორიზონტალურად ჩამოწერილია პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ვერტიკალურად პროგრამის მიზნები, ან პირიქით. უჯრებში აღნიშნულია რომელი სწავლის შედეგი რომელ მიზანს შეესაბამება.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6
მიზანი 1	√			√		
მიზანი 2		√				√
მიზანი 3			√		√	
მიზანი 4	√			√		√

მუხლი 5. პროგრამის სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა

5.1. პროგრამის სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა ადგენს თუ რამდენად ითვარება პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკის მეშვეობით დგინდება რომელი სასწავლო კურსი ეხმარება სტუდენტს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევაში, ან/და ხდება იმ სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომლებიც ზედმეტია საგანმანათლებლო პროგრამაში;

5.2. კურიკულუმის რუკა არის ცხრილი, რომლის ერთი მხარე მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო მეორე მხარე მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსებს. უჯრებში ინიშნება რომელი სასწავლო კურსი რომელი სწავლის შედეგის განვითარებას უზრუნველყოფს სამი პროგრესული დონით - 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ყველა სწავლის შედეგი უნდა განვითარდეს სამივე დონეზე.

კურიკულუმის რუკა

სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები					
	სასწავლო კურსი 1	სასწავლო კურსი 2	სასწავლო კურსი 3	სასწავლო კურსი 4	სასწავლო კურსი 5	სასწავლო კურსი 6
სწავლის შედეგი I	1		2			3
სწავლის შედეგი II		1	2		3	
სწავლის შედეგი III			1	2		3
სწავლის შედეგი IV	1	2			2	3
სწავლის შედეგი V		1	2		3	
სწავლის შედეგი V I		1		2		3

5.3. კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. რუკის საშუალებით დგინდება თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და რამდენად ადეკვატურია სასწავლო კურსების ეს რაოდენობა. ასევე მოიცავს ინფორმაციას ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით იმდენად მცირე რაოდენობის სასწავლო კურსებით ხდება პროგრამის სწავლის შედეგის/შედეგების განვითარება, რომ საგანთა ეს რაოდენობა შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი ამ სწავლის შედეგების მისაღწევად ან ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც არც ერთი სწავლის შედეგს არ ავითარებს;

5.4. კურიკულუმის რუკის შედგენასა და ანალიზში პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართულია სასწავლო კურსის ავტორი.

მუხლი 6. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

6.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მუდმივი პროცესია, რომლის დროსაც დგინდება თუ რამდენად მიაღწია სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგებს და როგორ შეიძლება მათი გაუმჯობესება. პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა შეფასდეს პროგრამის დასრულების დროს. უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შეფასდეს;

6.2. პროგრამის სწავლის თითოეული შედეგისათვის უნდა განისაზღვროს სამიზნე ნიშნული, რათა დადგინდეს თუ რა დონით მიაღწია სტუდენტმა სწავლის თითოეულ შედეგს. ყველა სტუდენტი ვერ გავა სწავლის შედეგზე უმაღლესი შეფასებით, ამიტომ სამიზნე ნიშნული არ უნდა იყოს ან ძალიან მაღალი ან პირიქით, დაბალი. სტუდენტების წინარე შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეალისტური სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისათვის.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	სამიზნე ნიშნული	
		დაგეგმილი	ფაქტიური
შედეგი 1	გამოცდა/ტესტი	70%	65%
შედეგი 2	გამოცდა/ღია კითხვები	70%	75%

მუხლი 7. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი

7.1. აკადემიური მოსწრების ანალიზი არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა პროგრამისა და სილაბუსის შინაარსობრივი და სტრუქტურული დამუშავების საშუალებას, რა დროსაც ხორციელდება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონეების დადგენა, რაც თავის მხრივ იძლევა სასწავლო კურსის შინაარსის სიმარტივე/სირთულის განსაზღვრის შესაძლებლობას, შესასწავლი თემების მართებულობის, სისტემურობისა და თანმიმდევრობის დადგენას, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლა - სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების თანხვედრასა და სტუდენტის მიერ სწავლის დადგენილი შედეგების მიღწევის რეალურ განსაზღვრას.

მუხლი 8. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

8.1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი ეტაპია მიღებული შედეგების ანალიზი, რის საფუძველზეც ხორციელდება პროგრამის გაუმჯობესება. შესაბამისად ხდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და გაანალიზება რამდენად მიაღწია სტუდენტმა სწავლის შედეგებს;

8.2. შეფასების შედეგების გაანალიზების შედეგად ხორციელდება ცვლილებები სასწავლო კურსების შინაარსში სასწავლო კურსების წინაპირობებში და სხვა, რის საფუძველზეც შეიძლება მოხდეს ცვლილებების შეტანა პროგრამის სწავლის შედეგებში და მათი შეფასების მექანიზმებში და სხვა;

8.3. განხორციელებული ანალიზის შედეგად იწერება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, სადაც მოხდება მიღებული შედეგების, მათი ანალიზისა და ანალიზის შედეგად განხორციელებული ცვლილებების ასახვა.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

9.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

9.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

9.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

9.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.